

ს ა რ ე მ ა ვ ი ზ რ ზ ა მ მ ა ც ე მ ა ლ მ ა ჯ .



ბათუმის  
გამომცემლობა

1926 წ.

№ 4

# ჩემი მშენებელი



## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერდი.
1. პირველი მაისი,—ლექსი მიმკრალის . . . . .	2
2. ქალაქელი პიონერის წერილები,—დ. კარბელაშვილის	3
3. გაზაფხული,—ლექსი ი. გრიშაშვილის . . . . .	5
4. ხაზრით დამუნჯებული,—დ. ქეძამიძის . . . . .	6
5. თინიკოს მერცხლები,—შ. მღვიმელისა . . . . .	13
6. პეპელა,—ლექსი საფო მგელაძის . . . . .	14
7. ბეკეკა,—პიესა ნ. შიუკაშვილის . . . . .	15
8. ცელქი ვანო,—ლექსი არჩ. კობახიძის . . . . .	22
9. საათი,—თარგ. ს. ურუშაძის . . . . .	24
10. ჩენი მკითხველების წერილები: მზის შეხვედრა, თამრო და ვარდის ბუჩქი, რათ აქვს იას ყვითელი გული . . . . .	30
11. გასართობი—ყდაზე	

კომუნალური  
გაზეთი



წ. 82-XXII

№ 4 აპრილი

1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ყურნალი ბავშვებისათვის.





# 1 მანსი

დღეს მანსია მოციმციმე,  
ცისფერ თვალებით,  
წითელ ალუბლით, ალუხით და  
ფარჩა-საღებოთ!

დღეს მანსია სინარულით,  
ცეკვით, თამბაქით...  
ვიმ, რა კარგია ვუბუილების  
თეთრი მარძაში!

ადექი, რესო, ადექ, კიკა,  
ვაუიტავ, თინა,  
ძესე—ხვენ ბახჩას შსემ სხიკები  
კადმოაფინა.

შწვანე ატლასებს სია არხვეს  
მარჯოს ფრთებით.  
აქროს კვირგვინით კადმოკვეურებს  
სამშობლოს შიები.

ტრა-ტა-ტა-ტა-ტა... ტრა-ტა-ტა-ტა...

გერბვენ დაკლურს.

ბეუშები დროშებს აქროლებენ

ცეცხლისფერს, ალურს.

ხვენც წაუღლი მათთან მეკობრული  
შეებ-კისკასით.

დღეს მანსია ცისფერთვალა,  
და დღე ძვირფასი.

## ქალაქელი პიონერის წერილები

წერილი პირველი.

ამხანაგო გიგლა!

ამას იქით ახე მომწერე სოღმე, ამხანაგო დიტო-თქო, ასეთი ჩვეულება გვაქვს, გიგლა, ზიონურებს.

მე ძლიერ ვამეხარდა, შენი წერილი რომ მივიღე და სულაც არ დამვიწყებინარ, ჩემო გიგლა, სრულებითაც არა.

მხოლოდ რაზმში ამ ერთ კვირამა ბევრი საქმე გვაქონდა და ამიტომ ვერ მოვიცაღე. ამხანაგებითაც ამ ცოტა ხანში ამოვალ დიდოში, შენთან.

აბა, თქვენ იცით, შენ და კატომ: დატრიალდით გოგობიჭებსში, რაზმი შეაუქნეთ და დაწვრილებით ვეკლავურს მაშინ მოგწერთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ. მაინცადამაინც, სკოლაში სთხოვეთ მასწავლებელს ჟურნალი „ხაკადული“ და „წითელი სხივი“, იქ ბევრი რამ იწერება ზიონურების ცხოვრებაზე და ჩვეულებებსზე; ჩვენც სულ ამ ჟურნალებსა ვკითხულობთ.

შენ იწერები, ჩვენებიანთ გოგო-ბიჭებისაგან ჰარტია უნდა შევაქნოთო, ჰარტია კი არა, რაზმი, გიგლა.

კატოს ნუ აუხირდები შენა, ის უფროსია შენზე და თან სკოლაშიც დადის. სიტყვა გაუგონე, მხოლოდ სილაბანდებსზე და ხალათ-ძარვალზე კი სწორი არ უთქვამს.

გოგოებს, აი, როგორ უნდა ეცვათ: მოკლე კაბა მუსლამდის, ლურჯი ფერისა, მოკლესახელოებიანი ხალათი თეთრი ფერისა და თავზე კიდევ წითელი თაყსხვევი. ფეხებსე მოკლე უელიანი ჩულქები.

ბიჭებს მოკლეტრეტებიანი ძარვალი უნდა ეცვათ, მუსლიდან ერთი ციდა რომ ავსომოთ სვეით, იქამდის, ლურჯი ფე-

რისა. თეთრი უსასელო სალათი და გულზე კიდე წითელი ექლსაკიდი, რომელიც კისერ-ველზეა შემოჭირებული და ბოლოები კიდევე გულზეა ჩამოშვებული.

აი, ასე აცვია, გიგლა, ზიონერს.

გიგლა, თუ მართლა საქმე ეგრება, როგორც შენ იწერები, აბა, რას იზამ, თხებს მოუარე, მაშ სომ შიშხილით არ დასოცავ? ცოტა ხანს მოითმინე, იქნება მერმე გამოკეთდეს თქვენი საქმე და სკოლაში იწეო სიარული. გული ნუ გაგიტყდება, აქედან მე გამოგიგზავნი კარგ წიგნებს და ჟურნალებს.



გიგლა, კომპები შემინახე, არ წაგკლიოს სულმა და არ შეჭამო, მეც აქედან „კრენდილებს“ ამოვიტან უეჭველად.

ეს წერილი ანქარებით დაუწერე. სკოლაში მაგვიანდება და ამ ცოტა ხანში ან მე გაუჩნდება მანდ, ან წერილს მოგწერ უფრო კარგს. ეველაფერს მოგწერ, სუეველაფერს.

მამინ, გიგლა, ნახშირი სულ გაუიდეო, თუ დაზრნათ და უკანვე წაიდეო?

კწერს შენი ამხანაგი დიტო.

მომიკითხე უცნობი ამხანაგი კატო.



# გაყავსული

აგერ სუმი,—ჩვენს ბახჩაში  
რომ სდგას ასე ობლად, კენტად,—  
გასაფხულმა გადაცოცხლა,  
უვაკილებით გადააწვინტა.

იამ გული გადაუძლა  
ჩხის სსივეს და ჭრელ ზეზელას,  
ხვენ კი მიწა სამუშაოდ  
მოაკვიწოდებს უველას, უველას!

ჰა, მერცხლებიც დაკვიბრუნდეს,  
გახარეს ხალხის გული!  
რა კარგია: ეინვის შემდეგ  
თვალუჯუნა გასაფხული!!

ი. გრიშაშვილი





## სათრით ღაფუნჯაბული

რუსიკო ექვსი წლისა იქნებოდა, როდესაც მისი მამა სა-  
 მასრო ქალაქ X-ში დაბინდეს სახელსო მოსამართლედ. სწო-  
 რაბუ დაბინაჲდა ხარზს მონაგრიძეილის სახლში, რომელიც  
 ბაღში განმარტოებით იდგა. მათ ახლო მესობელი არ ჰქუვდათ.

ტფილისში ცხოვრების დროს რუსიკო ძალიან იყო გარ-  
 თული მეგობრებში; აქ კი მათ სიახლოვეს არაუინ იყო მისი  
 სწორი, კარდა სახლის ჰატრონის შვილიძეილისა, რომელიც,  
 სამწუხაროდ, ბუნჯი აღმანდა.

სახელად ამ ბუნჯს ირინე ერქვა, მაგრამ მას ამ სახელს  
 არაუინ ეძახდა, რადგან, სულერთია, ის ვერ გაიკუბდა. ისე კი  
 მას „ბუნჯი“-ს სახელით იხსენიებდნ.

ზირველ სახებში რუსიკო თავისი სათამაშოებით ერთო-  
 ბოდა, მაგრამ მარტოს თამაში ძალე მოეწუინა და ერთხელ  
 თავისი ტვიინებით ბუნჯს ეწვია.

ირინე მს აღერსიანი დიძილით მიეკება, ხელი მოსწიდა  
 და წაიუვანა ტაღანის ბოლოში. აქ მას ერთ კუთხეში თავისი





საქართველოს  
მწერთა კავშირი

ტიკინებისთვის ბინა ჰქონდა კამართული მთელი მოწუობის  
ბით: კენჭებსე შემდგარი ოთხკუთხი ჰატარა ფიცარი ტანტის  
მოვალეობას ასრულებდა; მასსე ფარდაგის მკვირ გადაფენი-



ლი იყო ჭრელი ხითის ნაჭერი; კედლის ჩაფრებით ეღაგა  
მისივე ხელით შეკერილი მუთაქები, რომლებსედაც ჩამწერივე-  
ბულიყვენ ტიკინები. მათ წინ მკვიდის მკვირ იღა მირტლის  
ნაჭერგადაფარებული ჰაზროსის კოლოფი, კუთხები კი—წუმ-  
წუმის კოლოფებისგან გაკეთებული განჯინა, რომელშიც ეღა-  
გა თეფშების ნამტვრევები.

ირინემ რუსიკოს ტიკინები თავის ტიკინებს მოუსხა კვირ-  
დით, გამოიღო „განჯინიდან“ თეფშების ნამტვრევები და ვე-  
ლას სთითოღა დაუღა წინ; შემდეგ შევიდა მინ და გამოიტა-  
ნა ორი სურსეღა; ერთი დაამტვრია და დეღოფლებს დაწვეღა  
თეფშებსე, მორე კი რუსიკოს ვაჟიღა შუასე. ამის შემდეგ ვე-  
ლანი შეუღგენ ჩადიღს.

ტიკინებს არ შეკლოთ თავისით სურსეღების ნაჭრების  
ღება; ამიტომ ირინე და მისი მიბაძვით რუსიკოც ხან ერთ  
ტიკინას მიუტანდენ სურსეღის ნაჭერს ჰირთან, და ხან მორეს.

ბავშვებს გაათავებს სურსნელის ჭამა და ტიკინებსაც „სუფრა“ აუღლებს.

რუსიკომ აიღო ხელში რუსინის ბიჭი და ირინეს ახვენა, როგორი ჭეივილი იცის, თუ მას შეუცვლსე ხელს დააჭერ.

ირინემ, რა თქმა უნდა, რუსინის ტიკინის ჭეივილისა კურაფერი გაიკო, რადგან ვრუ-მუნჯი იყო. ის კი არ მოეწონა, რომ იგი სულ მთლად ტიტველა იყო; ამიტომ ოთახიდან გამოიტანა ნემსი და მადი, ხოთის ნაჭერი და მკრატელი და შეუდგა ხალათის კურჯას რუსინის ბიჭისათვის.

რუსიკო ხელეუბნი შეჭურუბდა თავის ახალ მეკობარს და უკვირდა, რომ თითქმის მისი ტოლი ირინე ასე მშვენივრად სჭრის და ჭკერავს.



ირინემ სულ მოკლე ხანში შეუკურა მშვენიერი ხალათი და ხადაცა ტიტველა რუსინის ბიჭს. რომ დარწმუნებულიყო, უხდებოდა თუ არა მას ხალათი, სული განსე განსი და კურდიდან შეხედა ტიკინს. მოეწონა თვისი ნამოქმადრი და გადასედა რუსიკოს კითხვის გამოშხატელი თვალეუბით.

რუსიკო მიხვდა, რომ ირინე კითხებოდა: ხომ უხდება ხეში შეკერილი ხალათი ამ ტიკინსო, და იძინაც თავის დაქვეით დაუდასტურა დობილს მისი აზრი.

რუსიკო ძლიან კმაყოფილი დაბრუნდა მის ირინესაკან. დედას უბძიო, როგორ გაატარა მუნჯთან დრო და ახვენა მისი შეკერილი ხალათი, რომელიც დედამაც ძლიერ მოიწონა.



ამის შემდეგ სმირად დაიარებოდა ხოლმე რუსიკებში  
 ნესთან. რაც დრო გადიოდა, უფრო უკეთესად ესმოდათ ერთ-  
 მანეთის ღაზარბაგი, რომელიც უძიავრესად თვალ-წარბის, ტუ-  
 ჩების და ხელების საძულებით სწარმოებდა.

— ირინემ მიიხრა: მე დედ-მამა არა შევს, დამკოცნე-  
 ნო, — ეუბნება ერთხელ რუსიკო თავის დედას. — საწყვლდი ირი-  
 ნე, როგორ მეცოდება.

— მართალია, შვილო, ირინე ობოლია და ზაზა-ბებია  
 სრდის მას; მაგრამ შენ ეს როგორ გაგაკებინა? აღბად სსვა  
 კინებში კითხრა!

— არა, დედას მსემ! თვითონ მიიხრა. ისიც მიამბო, რომ  
 წინად მეც ტუილისში ვცხოვრობდიო და როცა დედ-მამა და-  
 მკოცა, მამის ბებიათ თავისთან წამიუგანაო. მას ტრამპიც უნა-  
 ხავს, მტკარიც, ხიდიც და ძაღლიც სასლებიც!

ცუტრუქელა რუსიკო ვოკლეოვის უძობდა ხოლმე თავის  
 დედას ირინეს ნაღაზარბაგებს; მაგრამ დედას არა სჯეროდა,  
 რომ ასე უკლაფერს აკებინებენ ერთმანეთს რუსიკო და მუნჯი  
 ირინე. თვითონ რუსიკო კი არა ერთხელ დარწმუნდა, რომ  
 ხწორედ ესმის ირინეს ნათქვამი.

ერთხელ ირინემ აცნობა მას, რომ ისა და ბებია სვალ  
 დეიდსთან აზირებენ წასვლას მხლობელ სოფელში, და იქიდან  
 მას მოუტანს ზურსხელებს და ვაძლებს. მართლაც, მეორე სა-  
 ღამოს, როცა ირინე დეიდსაცან დაბრუნდა, მოუტანა მას და-  
 ზირებული სილი.

მეორედ ირინემ უამბო, რომ სახსადწლოდ ზაზამ უნდა სა-  
 კაბე უკიდოს, და იმისი ნაჭრებიდან რუსიკოს დიდ ტიკისს  
 კაბას შეუკერავს. ეს დაზირებაც მან ზირნათლად შეასრულა.

დედას კი მანც არა სჯერა, რომ რუსიკოს ესმის მუხის ნალაზარაკევი. რუსიკო მურაცხოფილია ასეთი უნდობლობით და სრულიად აღარაფერს ამბობს დედასთან ირინესე.

რაც დრო გადის, რუსიკო იმდენად ნაკლებ ლაზარაკობს. სან დღე ისე გაივლის, რომ ზირიდან ორ სიტყვას არ დამრავს. თუ რასმე ჭკითხავენ, ან თვითონ რამე დასჭირდება, ხელებით ან თვალებით ანიშნებს.

ერთხელ საბავშო ბაღის გამკემ დედა თავისთან დაიბარა და უთხრა: თქვენს რუსიკოს რაღაც ემართება: წინაღ რომ ვკვლავსე მუტს ტიკტიკობდა, ახლა სძას ვკვარ ვალებინებთო.

— რაც მუნჯს დუშკობრდა, ასე გადაეხვია ლაზარაკს. არ ვიცო, რა ვუწამლო იმ სამკაკელს!—მოუგო დედამ.

— მუტი დონე არ არის: ან რუსიკოს ტოლი უნდა მოიკვანთო ვინმე სახლში, რომ მასთან გაერთოს, ან იმ სახლიდან სხვაგან უნდა გადახვიდეთ, თორემ რუსიკო ლაზარაკს ვერ ისწავლის, რაც იცის, ისიც დაავიწყდება და მამის სწავლა მალთან გაუმსელდება!

გამკის ნალაზარაკევი დედამ მამს გადასცა.

— მართლაც, უნდა ვიღობოთ რამე!—სიტკა მამამ: დღეს ტფილისიდან წერილი მივიღე; სასაფურელოდ შენი და მოდის ხუვთან თავისი შვილებით. ცელქი კლიზბარი და ტიკტიკა თამბრეკო მალე ამოდგუქვენებენ ენას ხუვს რუსიკოს.

— მუ ვაზიწებდი წერილის მიწერას და კარგია, რომ თვითონაც უფიქრია მოსვლა!—მოუგო დედამ.

— მართლაც! რუსიკოს მუნჯური ლაზარაკი იქნება გამომაღკეს,—სიტკა სწორამემ:—დღეს ერთმა შემოიტანა ხუვთან საჩივარი. მუხობლის ბიჭს ხუვლეწია მისთვის ფანჯრის მიწები და ფანჯარასთან ახლო მკვიდასე მდგარი ბროლის ღამ-

ფა. სარალს უჩივის მის მამას. მოწმედ სხვათა შორის ას-  
სელებს მუნჯსაც, რომელიც თურმე ამ ამბავს შეთხვევით იქ  
შესწრებია. სად არის რუსიკო?

— სად იქნება, თუ არ  
ირინესთან? წაუვალ, ორივეს  
დავუძახებ!

ცოცა ხნის შემდეგ შე-  
მოვიდა დედა რუსიკოთი.  
მათ უკან მოკრძალებით  
მოსდგოდა ირინე.

— შეილა, აბა, ჰკითხე  
შენს მეკობარს: მან ნახა,  
რომ ერთმა ბიჭმა შესაბუნს  
ქვევით ფანჯრები ჩაუძკ-  
რია? — მიჭმართა სწორადემ თავის შვილს.

რუსიკო მიუბრუნდა დობილს, და კაბებს მათ თავიანთებუ-  
რი ღაპარაკი.

— ირინეს კუძინ დაუნახავს, რომ ერთ ბიჭს შეორის-  
თვის ბურთი მოუტაცია და სახლში  
გაქცეულა. ბურთი ვინიც იყო, ამ  
ბიჭს ქვევით დაუშენია ამ სახლის  
ფანჯრებისათვის და მინები ჩაუძ-  
კურვია! — გადხსნა რუსიკომ მამას  
ირინეს ხალაპარაკები.

სწორადემ და მისმა მეუღლემ ერთ-  
მანეთს გაცემით გადახედეს. ახლა

კი დარწმუნდნენ, რომ რუსიკო და ირინე მართლად საუბრობდნენ  
ხალდე ერთმანეთთან.



რამდენიმე დღის შემდეგ სწორადიანთ ტვილისიდან ერთ-ერთმა რუსიკოს დეიდა ელისაბარითა და თამარიკოთი. დეიდა-შვილები ერთმანეთს სისარულით შეხვდნენ და მოჭეუვენ ტიტინს სურათებიან წიგნებს, სიათამაშოებს და მეკობრეებს.

მეკობრების გასხენებზე რუსიკომ გადახედა ირინეს, რომელიც ამ დროს ბავშვის ბაღში იდგა და შორიდან შეჭეუვრებდა ბავშვის ლაპარაკს. რუსიკომ დეიდაშვილებს თავი გაანებდა და ირინესაკენ გადაქცა; თავის დაბილს მხარზე ხელი გადასდო და რაღაცა უთხრა, რასედაც ირინესაკენ ჰასუსი მიიღო. შემდეგ რუსიკომ მას ხელი ჩასჭიდა, მიიყვანა თავის დეიდაშვილებთან და გადასცა ისინი.



— რას ელაპარაკებოდით, შვილო, შენ და ირინე ერთმანეთს? — ჰკითხა დედამ რუსიკოს.

— მე ვკითხე: სომ არა ვკუენს, რომ ელისაბარსა და თამარიკოს ველაპარაკები მეთქი? მითხრა: ხეში თავისა რა მადლობელი ვარ, თქვენსავით ლაპარაკი რომ არ ვიცო!

— მაშ შენ ირინეს სათრით არ ლაპარაკობდი აქამდის?

— ჰო, დედიკო, მე ირინეს-ისე ვუყვარვარ, რომ თავის დღეში არ უწყენინებია, ამიტომ მე არ მინდოდა მისი წყენინება! — მიუგო რუსიკომ დედას.

დ. ძეძამიძე

## თინიკოუს ვარსკლავი.

(თინა ხახანაშვილს)

მოფრინდენ სუმი მერცხლები,  
ფრთაცქეიტები და ძალები;  
დედავ, რა ღამისუბი აქეთ  
გული, მკერდი და თუბლები!!



ველსე—სწილენძის მკვადრი  
სოლად დაურილი სალები,  
ზატანა გამყრი ფროფი,  
ნისკარტის დასამალები!

ახლა-კი უინვა-სიცივეს  
აღარსად დაკუძალები;  
გაჯალთ და მინდურებს ვახარებთ  
ტოლ-ამხანავი ქალები,

რომ გასაფხული გვეწვიან,  
სამთარს წაუსდა ძალები;  
მსე სსივეს გვაფენს და გვაბობოს,  
აღარ ვართ შესაბრძლები.

ფოთლებს იღებენ ტყეები,  
იფურჩქებიან ჭალები,  
მინდურები მრავალფერობენ  
და შთის ფერდო და ქალები\*)

ერთუიან, იკმსებებან,  
ჯიანაკვს კლდენი სალები;  
სხანს, ეველას მომორებია  
სამთრის მსუსხავი ბრჭალები...



შოი მღვიმელი

\*) ქალი—შთის წვერი, თავი.






# კ ე კ ე ლ ა

უვაჟილებსე დაფრინავს,  
 უვაჟილებსე ქანაობს,  
 თითქოს ამბობს: „შეშხედეთ,  
 ვინ არს ხემისთანაო!“  
 ვარდებს კადუქროლა,  
 შეაშფოთა იანი,  
 და არ ცხრება არასდროს  
 ცელქი, ჭრელკებიანი.  
 და გაშუქდა ფერებით  
 უვაჟილხარის ბაღები,  
 და დაჭრიან ზებლები  
 წითელ-უვითელ ფარებით.  
 ახმაურდენ ჩიტები,  
 ახმაურდენ შაშვები,  
 და დასდევენ ჭრელ ზებლებს  
 დაბრაწული ბავშვები.  
 თან ძღერინან: „დაიცათ,  
 დავასვენოთ თვალები,  
 ვინ მოქარგა ეკ ჯუბა  
 მოკლევარე ხალებით?“

ძლიერ გვინდა გავგინჯოთ,  
 საით მივსჯარებით?!  
 რა ლამაზად მორთულხართ  
 სურმუსტით და ლაღებით!!  
 მუდამ დაბორიანობთ,  
 ვარდის მტვერით მთვრალეები,  
 რატომ არ შეიხვეწებთ,  
 რატომ არ იღაღებთ?!“  
 და ზასუსდა: „მოკვმოვდიოთ,  
 თქვენთვის არა გვცაღია,  
 დაგვეძებენ ჩიტები,  
 კატები და კაღია.  
 და არ ვიცით, მათ თვალებს  
 როგორღა დავეძალოთ,  
 შეგვიფარე, ჭერამო,  
 აღუწა და ტყეშალო“.  
 და დაჭრიან, დაჭრიან  
 ოქროს ფირფიტანებით,  
 და შებაღეც ხეებს სხლავს  
 ძეგრატლით და დახებით.





# ბ ე კ ე კ ა

(სურათი ერთ მოქმედებად).

მოქმედნი:

1. მასწავლებელი (ქალი).

2. გოგია

3. შოთა

4. მაკრო

მოწაფენი 7—9 წლ.

5. გენტო

6. გიგლა

7. ირინე

8. ტატე

9. სტეპკო

10. ღარაჯი.

კიდევ ოციოდე მოწაფე—ქალი და  
 ვაჟი—იმავე ასაკისა.

## მოქმედება 1.

კლასი. ზარა ირეკება. ბავშვები ერთმანეთს შემობიან და იკავებენ თავიანთ ადგილს. შემოსდევთ მასწავლებელად.

**მასწავლებელი.** დასხედით, ბავშებო... დაწყნარდით.

**გოგია.** მასწავლებელო, პროექტორის ფული მოვიტანეთ.

**უველანი.** ჰო, მასწავლებელო, მოვიტანეთ.

**მასწავლებელი.** ჯერ დაწყნარდით... აბა, მოიტათ... მხოლოდ ერთად კი ნუ მოაწყდებით.

(მოწაფეებს შიქვით და ფუღს შიგადასე ალაგებენ. მასწავლებელი ქალღმრთელად აღნიშნავს).

**მასწავლებელი.** წყნარად... ნუ ჩქარობთ... (თან იჭერს გვარებს) სოფიკო, ეს შენია?... (მოწაფე თავის ჩამოკვრით ადასტურებს)... კარგი... რას გეშურებთ, ყველანი მოასწრებთ... ესეც შენი... კარგი... ახლა შენი... აბა, ყველანი ხართ?

**ხმები.** დიახ, მასწავლებელო, ყველანი!

**მასწავლებელი.** ძალიან კარგი... შეგროვდებით საღამოს ექვს საათზე—აქვე.

**ხმები.** ექვსზე, მასწავლეკელო?

**მასწავლებელი.** აკი გითხარით—ექვსზე!

**ხმები.** კარგი, მასწავლებელო!..

**შოთა.** (გადისუფავს ფანჯარაში. წვენით და ალურსით) აგე, მასწავლებელო, კიდევ მოუღდით ბატკნები!..

**ყველანი.** (გაიუფრებას ფანჯარაში) ჰო, მასწავლებელო, რა კარგები არიან!.. საწყლები!.. (ალურსიანად აფარებენ) ბე—ე!..

**მასწავლებელი.** ჰო, დღესასწაულებია... ყველა ჭურაში დაუღიოთ... რას იზამ!.. აი, აქ, ჩვენს პირდაპირ რომ ყასაბია,—ერთში გლებმა ჩემ თვალწინ მიჰყიდა ოთხ მანეთად ისეთი მშვენიერი ბატკანი, რომ ისეთი ჯერ არ მინახავს! გლებსაც არ ემეტებოდნო როგორღაც, მაგრამ რას იზამ, უქირდა, ალბათ!..

**ხმები.** საწყალი ბეკეა!..

**მასწავლებელი.** თან გვენანებიან, თან ქამა გვიყარს... დაწყნარდით, ბეშებო, აი / სწორედ ერთ ბეკეაზე მინდა წაგვიკითხოთ. (იღებს ხელში წაგნს).


**ყველანი.** წაგვიკითხე, მასწავლებელო, წაგვიკითხე... შ—შ—შ!.. (ერთმანეთს ახუმებენ. სიხუმე ჰეზა).

**მასწავლებელი.** (კითხულობს) ერთ ღარიბ გლებსაც ჰყავდა სამი წლის ფუნთუშა ბიჭუნა და თოვლის გუნდასავით თეთრი, მშვენიერი ბეკეა. დედ-მამას შვილი, რასაკვირველია, უყვარდა, მაგრამ ის ბატკანიც ხელზე გაზრდილი ჰყავდათ და იმასაც შვილს უღარებდნენ.

მთელი დღე ქობის წინ, ამწვანებულ მინდორზე, ჰყავდათ გაშვებული ორივე და ასე: საცა ერთი—იქ მეორე; ბიჭუნა ილოღება—ბეკეა სძოვს; ერთი წამოგორდება—მეორეც გვერდიო მოუწვება.

(აქ მასწავლებელი ჩამოჰკიდებს კლასის წინ დად სურათს: „ბატკანი გლებს თჯახში“. ბაკეაში საამოვნებლათ შესტყერიან და ეალურსებან).

**მასწავლებელი.** (განაკრძობს) მაგრამ ბიჭუნა უცებ ავიდა გახდა. არც ექიმი, არც ფერწალი, არც აფთიაქი! მამა მაშინვე მკითხვეთან წავიდა.



იმანაც, ჩვეულებრივად, წმინდა გიორგი მოუმიზეზიანა—უნდა წაიკითხო ილოცო და შენი ბატკანი დაუკლოა... სხვას არ შეიწირავს და შეილი მოგიკვდებოა! დამპარებული გლეხი დაბრუნდა შინ. რას იზამდენ?! მოეშაადენ და მეორე დღესვე გასწიეს ურმით თეთრი გიორგისავე ბატკანიც თან წაიყვანეს.

სალამოთი მივიდენ თეთრ გიორგში. დაიწყეს მზადება—ეს ღვდელიო, ეს ცეცხლიო... უკვე დრო იყო ბატკნის დაკლისა, მაგრამ... ბეკეკა გაჰქრა!.. აქეთ ეძებს, იქით ეძებს—ვერსად მიაგნეს შეღამებულში!.. რაღა დარჩენოდათ: წავიდა გლეხი იქვე სოფელში, უკანასკნელი გროშებით იყიდა ცხვარი და მოიყვანა.

მეორე დღეს სისხამ დილით გაბრუნდენ ისევ თავისი სოფლისკენ. არ გაველოთ სულ ნახევარი ვერსი, გლეხმა რაღაც თეთრს მოჰქრა თვალი იქვე ტყის პირას... ბატკანი! გადახტა გახარებული გლეხი, დაიჭირა ბატკანი და ისევ შეიღს ჩაუსვა ურემში. რასაკვირველია, ძალიან გაუხარდათ. (მასწავლებელი ჭკადებს შესაფერ სურათს).

**მასწავლებელი.** (განაგრძობს) ბიჭუნამ გზაშივე მოიკეთა—აიღბად ჰაერის გამოცლიამ არგო, და სრულიად ჯანსაღი დაბრუნდა. ცოლქმარს მკითხავე ეცინებოდათ.

ორი დღის შემდეგ გლეხის ოჯახს თავს წაადგენ „სტრატეიკები“ და ერთი ამბავი დააწიეს, რომ გადასახადი აქამდის არ შეუტანია. გლეხმა იმართლა თავი, მაგრამ „სტრატეიკები“ მათრახით დაემუქრნენ—უკანასკნელ ქვას ვაგიყიდით, თუ სამ დღეში არ შემოგიტანიო... (მასწავლებელი ჭკადებს შესაფერ სურათს).

**მასწავლებელი.** ჩაცვიდენ საფიქრებელში ცოლ-ქმარი. ბევრი ითათბირეს, ბევრი ივაგლაზეს, მაგრამ რაც არ არის—არ არის! საიდან?! გლეხმა უნებლიედ თვალი შეაჩერა ბატკანზე... „ე ბატკანი უნდა გავყიდო... სხვა გზა არ არის!“ გაჯავრდა ცოლი, ივიშვიშა, მაგრამ... მეორე დღესვე ვაიგლო ბატკანი ქალაქისკენ. ბიჭუნა ძალზე ტიროდა, მაგრამ გაქირვებამ შებრალება არ იცის... (მასწავლებელი ჭკადებს შესაფერ სურათს).

**მასწავლებელი.** ქალაქში მიიყვანა ბატკანი ყასბთან და მიჰყიდა. ყასბს მოეწონა ბატკანი და იქვე იწყო დიდი დანის ღვსვა. ბეკეკა-კი, თითქოს ჰგონობსო, თრთოდა და ბლავილით გაეტირა გლეხს... (მასწავლებელი ჭკადებს სურათს: სუკანძო, ბატკანი; უსაბა დანას ჭდეს).

(შემოადის დარაჯი)

**დარაჯი.** მასწავლებლო, გაქვე გთხოვსთ ერთი წუთით.



**მასწავლებელი.** კარგი, მოვალ. (დათაჯი გადის) ბავშვებო, წესრიგად იხედით, მე ახლავ დაებრუნდები და დაეასრულებ ბეკეკას ამბავს (მეცხეა აქვს წიგნი და გადის).

(ბავშვები კარგა ხანა იღრუბლებოდნენ, მხოლოდ უკანასკნელი სურათის დანახვაზე კი მოღუშულება, შუბლშეკრულხა უნძრევლად სხედან, მასწავლებლის განცხადის შემდეგ კარგა ხანს ასე რჩებიან. სამარისებური სიჩუმე — მხოლოდ შეკშუხუნაღია წარება და ჯერია).

**გოგია.** (განცხადებული წამოხტება) ოღეა ბეკეკა!

**ყველანი.** ოღეა, მაშ რაა!..

**გოგია.** ნუ მივცემთ ნებას... ყასაბი ნუ დაჰკლავს ბეკეკას!..

**ყველანი.** ნუ, ნუ მივცემთ!

**შოთა.** ნუ მივცემთ, მაგრამ როგორ?

**მაკრო.** (წამოხტება). ნულა წაგვიკითხავს მასწავლებელი!

**ყველანი.** (წამოაშლებიან) ჰო, ჰო, აღარ გინდა... ნუ წაგვიკითხავს!..

**გოგია.** მაშ კარი დავკეტოთ, ნულა შემოვუშვებთ!

**ყველანი.** დავკეტოთ!.. ნუ შემოვუშვებთ!

(ყველანი წამოაშლებიან).

**გოგია.** აბა, ბიჭებო... ჩუმად... მერხები მივადგათ...

(დაესვენან და მერხებს კარებისკენ ეზიდებიან)

**ხმები.** ჩქარა... ჩუმად... ნუ არახუნებთ... არ მოგვისწროს...

(კარს მერხებით ამოჭქოლავენ. ერთ მერხს ზემოდახანც მესდგამენ ზედ კარებთან).

**გოგია.** ახლა ზედ დავსხდეთ. (აგა და სუღ ზევით ჟდება. დანარჩენებაც აკინძებიან მერხებზე). ს-ს-უ! მგონი მოდის!..

(ჩამოვარდება სამარისებური სიჩუმე. ჰატარა ხანს უკან კარს მოაწვებიან. ბავშვები ერთმანეთს ანაშენებენ — „სმა არ ამოადლოთ“).

**მასწავლებლის ხმა.** რათ არის დაკეტული? (სიჩუმე. ბავშვები, მიმავური მოძრაობა და ტესტები) რას გაჩუმებულხართ, ბავშვებო, ვინ დაკეტა? (ისევ სიჩუმე) არ გესმით, ბავშვებო, გააღეთ კარი!.. (სიჩუმე) გააღეთ, თორემ გავჯავრდები!..

(ბავშვები ჩუმად თათბარობენ).

**გოგია.** არ გაგიღებთ, მასწავლებლო!

**მასწავლებლის ხმა.** რატომ?

**გოგია.** ბეკეკას არ დავაკვლევინებთ!..

**მასწავლებლის ხმა.** როგო-ორ?!.

**გოგია.** ყასაბს არ დავაკვლევინებთ!

მასწავლებლის ხმა. ჰო-ო!.. კარგი, არც მე მინდა... ნუ კვლევინებთ... გააღეთ!

(ბავშვების თათბარი—გაუღონ თუ არა?).

გოგია. მაშ არ დაჰკლავს ყასაბი?

მასწავლებლის ხმა. აი ერთად მოვილაპარაკოთ, როგორ დავიხსნათ ბეკეკა.

(ისევ თათბარი: გადასწვევტენ, გაუღონ კარი. გაღმოსტებიან ძირს და მერსებს თავის ადგილზე შიათრევენ. კარი გაღება, მასწავლებელი შემოდის).

მასწავლებელი. აბა, დაწყნარდით, ბავშებო... დასხედით. (წენარდებთან. მასწავლებელი და ბავშვები შესტყერიან უკანსკულქსურაის) აბა, რა ვუყოთ, როგორ დავიხსნათ ბეკეკა ყასაბის ხელიდან?

მაცრო. ქვევით ნულა წაგვიკითხავ, მასწავლებელო!

ყველანი. ჰო, ჰო, მასწავლებელო, აღარ გვინდა!

გოგია. (წამობტება) მასწავლებელო, კი არ წაგვიკითხავთ, მაგრამ თქვენ თვითონ არ გინახავსთ, გლებმა რომ ბატკანი მიჰყიდა ყასაბს!..

მასწავლებელი. ჰო, მე თვითონ ვნახე—აი, ჩვენს პირდაპირ რომ ყასაბი.

გოგია. ჰო-და—დაჰკლავს, მასწავლებელო!

ყველანი. დაჰკლავს, მასწავლებელო, დაჰკლავს!

მასწავლებელი. მაშ რა ვუყოთ?..

გენტო. მასწავლებელო, პროექტორში ნუ წავალით!. (სიჩუმე-ვერ გაკვეულან).

მასწავლებელი. მერე?

გენტო. აი, ვგ ფულები ყასაბს მივცეთ და გამოვიხსნათ ბეკეკა!

ყველანი. (აღტაცებით) ჰო, ჰო, მასწავლებელო!

მასწავლებელი. მაშ ყველასა გსურთ?

ყველანი. ყველას, მასწავლებელო, ყველას!..

გიგლა (თან ტირას) მე პროექტორში მინდა-ა-ა!..

ყველანი. (აფარებენ) ი-ი-ი!..

მასწავლებელი. ნუ აჯავრებთ... თუ-კი უნდა?..

გიგლა (ისევ ტირადით) მე ჯერ არ მინახავს პროექტორი-ი!..

მასწავლებელი. კარგი, კარგი, გიგლა, შენ ფულს არ დავხაჯავთ.

გოგია. ჩქარა, მასწავლებელო, თორემ ყასაბი დაჰკლავს ბეკეკას!

ყველანი. ჰო, მასწავლებელო!

მასწავლებელი. აბა, ვინ წავა?

ყველანი. მე!.. მე... მე!..



მასწავლებელი. რა საჭიროა ყველანი? აი, გოგია, მაკრო, გენტო წავიდენ.

ყველანი. ჰო, ჰო, მასწავლებელო!

მასწავლებელი. აბა, გოგია, მაკრო, გენტო! (სამივე შეაფუენ) აი, აქ ხუთ მინუთზედაც შეტია. ოთხად, ალბად, არ მოგცემსთ. თუ დაგაკლდათ, მე დაუშაბტებ... წადით და მოელაბარაკეთ...

გენტო. რა არ დაგვანებოს, მასწავლებელო?

გოგია. როგორ-თუ არ დაგვანებოს?!..

ყველანი. (წამოიშლებიან) ყველანი წავალთ და წავართმევთ, მასწავლებელო!

მასწავლებელი. ეგ არ შეიძლება!.. დაგანებბსთ... სკოლისთვის გვინდა-თქო!..

გოგია. (ფუფს ართმევს) აბა, ჩქარა!..

ყველანი. ჩქარა, ჩქარა!..

(გოგია, მაკრო და გენტო კარბიან).

მასწავლებელი. თქვენ დაწყნარდით. (წაგხსნ ხელში აიღებს).

ყველანი. არ გვინდა, მასწავლებელო, ნუ წაგვიკითხავ!

მასწავლებელი. (იგინის) არა, მე მხოლოდ მინდა დაგვეცო... აი, ასე! (დაჭკებს და დასდებს) კარგი: რომ ის ბატკანი მოიყვანონ, რას უზამთ? ხმები. აქ დარჩეს, მასწავლებელო, სკოლის ბაღში... ჩვენ მოვუვლით. ირინე. (მატრავკვერუდად) მასწავლებელო, გლეხს დაუბრუნოთ. (მაშუბი ხარხარობს).

მასწავლებელი. (ეგინება) სად ვიპოვნოთ?

სტეპკო. (ახუნჯობს) გაზეთებში გამოვაცხადოთ! (ისევ სიყიდა).

ტატე. (ესევე ახუნჯობს) ბარემ კარგი იყო, ბატკანმა დაპარაკი იცოდეს! (სიცილი).

მასწავლებელი. ძალიან ნუ ხმაურობთ, — სხვა კლასებს უშლით.

ყველანი. არა, მასწავლებელო... შ-შ-შ!..

მასწავლებელი. გიგლა, შენ პირველია ხარ ქალაქში?

გიგლა. დიახ.

მასწავლებელი. მაშ გერ პროექტორში არა ყოფილხარ?

გიგლა. არა, მასწავლებელო... დედამ ახლა მომცა—წადიო!

ტატე. მასწავლებელო, არც ტრამვაი ენახა, არც ავტომობილი, არც ელექტრონი!.. (კლასი იგინის).

მასწავლებელი. მერე რა ირის აქ სასაცილო?! ახლა ყველაფერსა ნახავს. (ხუმდებიან—შერბეჭებათ) აი, შენ, ტატე—გინახავს მინდვრად ცისკარი?

# გ ა ს ა რ თ ო ზ ი

ამოცანა. ფანქრის ოთხი მოსპით დაწერეთ: მაისი, (ან ოთხი წუმწეუმით გამოხატეთ პირველი მაისი)

რ ე ბ უ ს ი (წარმოდგენილი ნ. ძიძიგურის მიერ)

ნაკადული

ს

*სხე-გვს*  
*საქონი*  
ზმნა „კითხვა“ გადა-  
აკეთეთ არსებით სა-  
ხელად.



“

გან

ს  
ა



მ



მ

გათენების  
დრო

ს



— 1926 წ. —

გ ა მ რ ვ ა

უკველთვიური სუბსწვილა დასურბათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ ქე-XXII წ.

მოსწდილ. „წითელი სხივი“ წელ. ქე-III.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	}	„ნაკადული“—ერთი წლით—3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით—2 მან.
	}	„წითელი სხივი“—ერთი წლით—5 მან.
		ნახევარი წლით—3 მან.
ცალკე ნომერი	}	„ნაკადული“ 35 კაპ.
		„წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო უკო-  
მისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—ხარედაქციო კოლეგია.

